სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

22 ივლისი, 2025 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/64

2025-2026 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს „სპეციალური მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის მე–4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის, ,,პირის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 1 ივლისის №113/ნ ბრძანების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერისა (№23-05/05, 08.07.2025) და ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (MES 0 25 0000841762, 08.07.2025) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის „სპეციალური მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე (60 კრედიტიანი) **მისაღები კონტინგენტი** 2025-2026 სასწავლო წლისთვის განისაზღვროს **30 ადგილით** (მათ შორის 20 ადგილი - სახელმწიფოს დაფინანსებით).
2. 2025-2026 სასწავლო წლისათვის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება გამოცხადდეს 2025-2026 სასწავლო წლისათვის ამ პროგრამაზე მიღების ვადების სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ.
3. სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელმა ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტმა (პროგრამის ხელმძღვანელი, ამავე ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მარინე გურგენიძე) უზრუნველყოს წინამდებარე დადგენილების გამოცემის შემდეგ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.
4. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეს (მ. ხალვაში), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არაშიძე**